

შპს ქარელის ხილი

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
5. სავაჭრო მოთხოვნები	12
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები.....	12
7. ძირითადი საშუალებები	13
8. სავაჭრო ვალდებულებები.....	14
9. სასესხო ვალდებულებები	15
10. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი	15
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15
12. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	16
13. სხვა შემოსავლები	16
14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-12-23	31-12-22 (გადაანგარიშებული)	31-12-21 (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	26,633	6,483	7,635
სავაჭრო მოთხოვნები	5	610,082	778,364	689,184
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	646,831	709,276	702,250
სხვა მიმდინარე აქტივები		23,157	36,265	22,507
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,306,703	1,530,388	1,421,576
გრძელევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	436,031	614,931	431,079
სულ გრძელევადიანი აქტივები		436,031	614,931	431,079
სულ აქტივები		1,742,734	2,145,319	1,852,655
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	429,807	469,028	466,027
გადასახდელი ხელფასები		56,596	130,863	121,404
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	9	348,092	354,560	369,985
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		834,495	954,451	957,416
გრძელევადიანი ვალდებულებები				
გრძელევადიანი სასესხო ვალდებულებები	9	1,725,923	1,760,280	1,157,306
სულ გრძელევადიანი ვალდებულებები		1,725,923	1,760,280	1,157,306
სულ ვალდებულებები		2,560,418	2,714,731	2,114,722
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		908,557	908,557	908,557
აკუმულირებული ზარალი		(1,726,241)	(1,477,969)	(1,170,624)
სულ საკუთარი კაპიტალი		(817,684)	(569,412)	(262,067)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,742,734	2,145,319	1,852,655

დირექტორი ----- ანანო ბეჟანიშვილი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	2,093,263	2,115,253
რეალიზაციის დანახარჯები	10	(1,592,254)	(1,280,114)
საერთო მოგება		501,009	835,139
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(310,075)	(578,190)
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(352,586)	(346,048)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	7	(92,066)	(77,385)
სხვა შემოსავლები	13	383,188	355
სხვა ხარჯები		(194,381)	(1,475)
ზარალი პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		(64,911)	(167,604)
საპროცენტო შემოსავალი		27,543	15,924
საპროცენტო ხარჯი		(202,995)	(177,693)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		(6,034)	22,108
ზარალი დაბეგვრამდე		(246,397)	(307,265)
მოგების გადასახადი		(1,875)	(80)
წმინდა ზარალი		(248,272)	(307,345)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	908,557	(1,170,624)	(262,067)
წმინდა ზარალი	-	(307,345)	(307,345)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	908,557	(1,477,969)	(569,412)
წმინდა ზარალი	-	(248,272)	(248,272)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	908,557	(1,726,241)	(817,684)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ქარელის ხილი დაფუძნდა 2015 წლის 27 თებერვალს. კომპანიის მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #75, კორპუსი 10, ბინა #16. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405088569.

კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენენ გიორგი კვირიკაძე (პ/ნ: 01008013283) 10%, შპს ქართული ხილის ფონდი (ს/კ: 405338512) 47.5% და შპს აგროინდუსტრია 2010 (ს/კ: 404397201) 42.5%.

კომპანიის დირექტორს წარმოადგენს ანანო ბეჟანიშვილი (პ/ნ: 01017024704).

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ხილის ჩირების წარმოება და დისტრიბუცია.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2023 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის

მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ფინანსური უწყისები, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	შენიშვნა	31-12-22	31-12-21 (გადაანგარიშებული)	31-12-20 (გადაანგარიშებული)
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	9,167	10,711	39,331
სავაჭრო მოთხოვნები	5	785,680	686,214	442,500
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	747,415	733,391	477,456
სხვა მიმდინარე აქტივები		44,279	23,801	7,818
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,586,541	1,454,117	967,105
გრძელევადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	615,006	430,400	469,320
სულ გრძელევადიანი აქტივები		615,006	430,400	469,320
სულ აქტივები		2,201,547	1,884,517	1,436,425
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	420,159	413,798	263,698
გადასახდელი ხელფასები		130,560	121,102	67,710
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	9	354,560	106,796	116,038
მიღებული ავანსები		52,545	52,545	52,545
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		957,824	694,241	499,991
გრძელევადიანი ვალდებულებები				
გრძელევადიანი სასესხო ვალდებულებები	9	1,760,327	1,420,542	967,925
სულ გრძელევადიანი ვალდებულებები		1,760,327	1,420,542	967,925
სულ ვალდებულებები		2,718,151	2,114,783	1,467,916
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		908,557	908,557	908,557
აკუმულირებული ზარალი		(1,425,161)	(1,138,823)	(940,048)
სულ საკუთარი კაპიტალი		(516,604)	(230,266)	(31,491)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		2,201,547	1,884,517	1,436,425

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	შენიშვნა	2022	2021 (გადაანგარიშებული)
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	2,125,013	1,816,895
თვითღირებულების ხარჯი	10	(1,316,282)	(995,677)
საერთო მოგება		808,731	821,218
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(536,625)	(512,352)
ხელფასები და სხვა სარგებელი	12	(346,048)	(337,586)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	7	(70,723)	(81,332)
სხვა შემოსავლები		16,323	24,202
სხვა ხარჯები		(1,206)	(2,365)
მოგება/(ზარალი) პროცენტებამდე და საკუროსო სხვაობამდე		(129,548)	(88,215)
საპროცენტო ხარჯი		(177,693)	(83,454)
მოგება/(ზარალი) კურსთაშორის სხვაობიდან		20,903	(27,106)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(286,338)	(198,775)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		(286,338)	(198,775)

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარი	908,557	(940,048)	(31,491)
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(198,775)	(198,775)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	908,557	(1,138,823)	(230,266)
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	(286,338)	(286,338)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	908,557	(1,425,161)	(516,604)

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

თარიღი	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა ნაგებობები	50
ოფისის აღჭურვილობა	5
მანქანა-დანადგარები	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	3-10
კომპიუტერული ტექნიკა	3-5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. კომპანიის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

კომპანიას არჩეული აქვს თვითღირებულების მოდელი. შესაბამისად, არ ხდება ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულებაზე გადაფასება.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა. აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) მარაგის შენახვის დანახარჯები; ბ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; გ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი.

3.4 ნასესხები სახსრები (ნასესხო ვალდებულებები)

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ გარიგების ხარჯების (მათ შორის სესხის გაცემის საკომისიო) წრფივი ამორტიზაციის მეთოდი არ იძლევა მატერიალურ სხვაობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდთან, ასეთ შემთხვევაში ხდება ამ ხარჯების წრფივი ამორტიზაცია და საპროცენტო ხარჯში აღიარება დროის გასვლის პროპორციულად. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

3.5 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.6 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფულის ძირითადი ნაწილი განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე, ხოლო ფულადი სახსრების ნაწილს ინახავს საღაროში.

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-23	31-12-22
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	26,633	6,483
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	26,633	6,483

5. სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები უკავშირდება ძირითადად რეზიდენტ მყიდველებს, თუმცა კომპანიას ასევე ყავს არარეზიდენტი მყიდველები.

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-23	31-12-22
რეზიდენტი მყიდველები	567,488	722,380
არარეზიდენტი მყიდველები	42,594	55,984
სულ სავაჭრო მოთხოვნები	610,082	778,364

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

კომპანიის სასაქონლო მატერიალური მარაგები დაყოფილია საქონლად, მასალა და ნედლეულად და მზა პროდუქციად.

მათი ნაშთები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-12-23	31-12-22
საქონელი	85,653	110,969
მასალა და ნედლეული	487,669	105,215
მზა პროდუქცია	73,509	493,092
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	646,831	709,276

7. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებზე 2023 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	რეალიზაცია	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	10,000	-	-	10,000
დაუმთავრებელი მშენებლობა	39,234	-	-	39,234
შენობა-ნაგებობები	259,951	-	26,782	286,733
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3,146	-	-	3,146
მანქანა-დანადგარები	763,102	299,893	3,476	466,685
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	21,538	-	1,732	23,270
ელექტრონული მოწყობილობები	13,603	-	636	14,239
ავეჯი და სხვა ინვენტარი	81,657	-	51,893	133,550
სატრანსპორტო საშუალება	37,177	24,960	-	12,217
სულ	1,229,408	324,853	84,519	989,074
დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	რეალიზაცია	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენობა-ნაგებობის ცვეთა	87,495	-	19,648	107,143
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობის ცვეთა	-	-	106	106
მანქანა-დანადგარების ცვეთა	452,542	141,317	49,770	360,995
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	20,905	-	1,107	22,012
ელექტრონული მოწყობილობების ცვეთა	1,191	-	2,025	3,216
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	38,795	-	15,072	53,867
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	13,549	12,183	4,338	5,704
სულ	614,477	153,500	92,066	553,043

ძირითად საშუალებებზე 2022 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	რეალიზაცია	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
მიწის ნაკვეთები	10,000	-	-	10,000
დაუმთავრებელი მშენებლობა	39,234	-	-	39,234
შენობა-ნაგებობები	259,951	-	-	259,951
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	-	3,146	3,146
მანქანა-დანადგარები	561,938	26,186	227,350	763,102
ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	21,471	-	67	21,538
ელექტრონული მოწყობილობები	5,400	-	8,203	13,603
ავეჯი და სხვა ინვენტარი	40,123	-	41,534	81,657
სატრანსპორტო საშუალება	35,977	-	1,200	37,177
სულ	974,094	26,186	281,500	1,229,408

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	რეალიზაცია	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენობა-ნაგებობის ცვეთა	68,857	-	18,638	87,495
მანქანა-დანადგარების ცვეთა	415,901	5,923	42,564	452,542
ოფისის აღჭურვილობის ცვეთა	19,269	-	1,636	20,905
ელექტრონული მოწყობილობების ცვეთა	652	-	539	1,191
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა	29,912	-	8,883	38,795
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა	8,424	-	5,125	13,549
სულ	543,015	5,923	77,385	614,477

8. სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები უკავშირდება როგორც რეზიდენტ მომწოდებლებს, ასევე არარეზიდენტ მომწოდებლებს.

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-23	31-12-22
რეზიდენტი მომწოდებლები	429,444	462,701
არარეზიდენტი მომწოდებლები	363	6,327
სულ სავაჭრო ვალდებულებები	429,807	469,028

9. სასესხო ვალდებულებები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები შედგება დამფუძნებლისაგან მიღებულ სესხად და ასევე ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებად.

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სასესხო ვალდებულებები	31-12-23	31-12-22
დამფუძნებლისგან მიღებული სესხი	476,857	586,236
ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხი	1,597,158	1,523,604
სხვა სასესხო ვალდებულებები	-	5,000
სულ სასესხო ვალდებულებები	2,074,015	2,114,840

10. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ხილის ჩირების წარმოება და დისტრიბუცია.

დარიცხული შემოსავალი და მიწოდებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2023	2022
შემოსავალი, საიდანაც:	2,093,263	2,115,253
შემოსავალი საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან	2,211,033	2,175,182
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(117,770)	(59,929)
თვითღირებულება:	(1,592,254)	(1,280,114)
რეალიზებული საქონლისა და მომსახურების თვითღირებულება	(1,592,254)	(1,280,114)
საერთო მოგება	501,009	835,139

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
მარკეტინგის ხარჯი	138,479	304,185
საწვავის და ტრანსპორტირების ხარჯი	63,694	100,874
იჯარის ხარჯი	31,531	45,032
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	12,600	10,304
კომუნალური ხარჯი	6,856	10,983
წარმომადგენლობითი და მივლინების ხარჯები	6,793	2,630
რემონტისა და შენახვის ხარჯი	6,741	18,552
დაზღვევის ხარჯი	4,566	5,082
საოფისე ინვენტარის ხარჯი	1,041	1,068
საკანცელარიო ხარჯი	610	2,272
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	37,164	77,208
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	310,075	578,190

12. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2023	2022
სახელფასო ხარჯი	335,487	321,717
საპენსიო და სხვა სარგებელი	17,099	24,331
სულ ხელფასები და სხვა სარგებელი	352,586	346,048

13. სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლებში მოცემულია ისეთი შემოსავლები, რომლებიც განსხვავდება საწარმოს ძირითადი საქმიანობის სფეროსგან და არ წარმოადგენს ყოველდღიური ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილს. ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

სხვა შემოსავლები	2023	2022
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	240,743	-
სხვა	142,445	355
სულ სხვა შემოსავლები	383,188	355

14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

14.1 2023 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 37,755 ლარი, ხოლო 2022 წლის განმავლობაში 46,086 ლარი.

14.2 2023 და 2022 წლების განმავლობაში კომპანიას აღებული ჰქონდა სესხები დამფუძნებლებისგან. აღნიშნული სესხების ბალანსები 2023 და 2022 წლების ბოლოს წარმოდგენილია ქვემოთ:

სესხები	31-12-23	31-12-22
დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები	476,857	586,236

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.